საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №20

ბათუმი 10 ივნისი 2020 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტისა და 149-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სასწავლო პრაქტიკის გავლის წესი, თანახმად თანდართული დანართისა.

2. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2014 წლის 06 მაისის ბრძანება N23 ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ".

3. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ კანონით დადგენილი წესით.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე

დანართი

„დამტკიცებულია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

თავმჯდომარის 2020 წლის 10 ივნისის N 20 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სასწავლო პრაქტიკის გავლის წესი

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სასწავლო პრაქტიკის გავლის წესი (შემდგომში - პრაქტიკის გავლის წესი) განსაზღვრავს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში (შემდგომში - უმაღლესი საბჭოს აპარატი) სასწავლო პრაქტიკის გავლის წესსა და პირობებს.

მუხლი 2

1. პრაქტიკის მიზანია:

ა) სტუდენტთა პროფესიული მომზადების ხელშეწყობა;

ბ) სასწავლო პროცესში სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცება;

გ) სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;

დ) კვალიფიციური კადრების მომზადება.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატში სასწავლო პრაქტიკის გავლის სამართლებრივი საფუძვლებია უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულება, უმაღლესი საბჭოს აპარატის შინაგანაწესი და ეს წესი.

თავი II
უმაღლესი საბჭოს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთობა

მუხლი 3

პრაქტიკის გავლის ორგანიზების, კვალიფიციური კადრების მომზადების, სტუდენტების პროფესიული დონის ამაღლების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის მიზნით უმაღლესი საბჭო თანამშრომლობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, უქმნის სტუდენტებს დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო ყველა პირობას.

მუხლი 4

1. უმაღლესი საბჭოს ურთიერთობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პრაქტიკის გავლის პროცესი და მექანიზმი რეგულირდება უმაღლეს საბჭოსა და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (შემდგომში – მემორანდუმი).

2. მემორანდუმს ხელს აწერენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე/უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი და შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი.

3. მემორანდუმით გათვალისწინებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულება - დროულად აცნობოს უმაღლეს საბჭოს პრაქტიკაგასავლელ სტუდენტთა რაოდენობა (ყოველ ნაკადზე ცალ-ცალკე), და უმაღლესი საბჭოს ვალდებულება - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აცნობოს უმაღლესი საბჭოს აპარატში პრაქტიკის დაწყებისა და დამთავრების დრო, მისი პერიოდულობა.

თავი III
პრაქტიკის გავლის ორგანიზება

მუხლი 5

უმაღლესი საბჭოს აპარატში პრაქტიკის გავლის ორგანიზებას უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

მუხლი 6

უმაღლესი საბჭოს აპარატში პრაქტიკის გავლის პროცესს უშუალოდ ხელმძღვანელობს პრაქტიკის კოორდინატორი (შემდგომში-კოორდინატორი), რომელსაც ნიშნავს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

მუხლი 7

1. უმაღლესი საბჭოს აპარატში პრაქტიკის გასავლელად სტუდენტები მიიღებიან უმაღლესი საბჭოს საგაზაფხულო ან/და საშემოდგომო სესიის პერიოდში.

2. პრაქტიკის გავლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 (ერთი) თვეს. კონკრეტული ვადა განისაზღვრება ამ წესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით.

3. პრაქტიკის პერიოდი არ ანაზღაურდება.

მუხლი 8

1. პრაქტიკის პროგრამის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში წარმოდგენას უზრუნველყოფს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წარმომადგენლის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელის მეშვეობით.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი პრაქტიკის პროგრამას, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელთან ერთად (საჭიროების შემთხვევაში კორექტირების შემდეგ), შესათანხმებლად წარუდგენს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

თავი IV
პრაქტიკანტის სტატუსი

მუხლი 9

1. პრაქტიკანტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც ამ წესის შესაბამისად უმაღლესი საბჭოს აპარატში გადის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის გათვალისწინებულ სასწავლო პრაქტიკას.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატში პრაქტიკის გასავლელად დაიშვებიან იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები, რომლებთანაც უმაღლეს საბჭოს გაფორმებული აქვს მემორანდუმი.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატში პრაქტიკის გასავლელად იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები, რომლებთანაც უმაღლეს საბჭოს გაფორმებული არ აქვს მემორანდუმი დაიშვებიან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კალენდარული წლის განმავლობაში შტატით გათვალისწინებული საერთო საშტატო რიცხოვნობის 5%-ს ფარგლებში. სტუდენტების/სტუდენტის უმაღლესი საბჭოს აპარატში პრაქტიკის გასავლელად დაშვების საკითხს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მომართვის ან/და სტუდენტის განცხადების საფუძველზე, წყვეტს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

მუხლი 10

1. სტუდენტების მიერ უმაღლესი საბჭოს აპარატში პრაქტიკის გასავლელად შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელთანაც უმაღლეს საბჭოს გაფორმებული აქვს მემორანდუმი, წერილობით მიმართავს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიმართვას უნდა დაერთოს იმ სტუდენტების სრული სია (კურსის, სპეციალობის, ფაკულტეტის მითითებით), რომლებსაც სურთ გაიარონ პრაქტიკა უმაღლესი საბჭოს აპარატში.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების-პრაქტიკანტების მიერ უმაღლესი საბჭოს აპარატში პრაქტიკის გავლის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას გამოსცემს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

თავი V
პრაქტიკის კოორდინატორის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 11

1. კოორდინატორს უფლება აქვს:

ა) აცნობოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობას პრაქტიკანტების წარმატებების შესახებ ან მათ მიერ ჩადენილი დარღვევების თაობაზე;

ბ) ამ წესის მე-10 მუხლის 1-2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისას წინადადებით მიმართოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს სტუდენტისათვის პრაქტიკის გავლაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო ამ წესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას - პრაქტიკანტის პრაქტიკიდან მოხსნის თაობაზე.

2. კოორდინატორი ვალდებულია:

ა) ზედამხედველობა გაუწიოს პრაქტიკანტების მუშაობას და მათ მიერ პრაქტიკის პროგრამის შესრულებას;

ბ) დაეხმაროს პრაქტიკანტებს პრაქტიკის გავლის პროცესში წამოჭრილ საკითხთა გადაწყვეტაში;

გ) პრაქტიკის გავლის პერიოდში უხელმძღვანელოს საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტას;

დ) ხელი შეუწყოს პრაქტიკანტების დასწრებას და პრაქტიკანტების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

ე) პერიოდულად მოამზადოს ინფორმაცია პრაქტიკანტების მუშაობის შესახებ, რომელიც წარედგინება უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს;

ვ) პერიოდულად შეამოწმოს პრაქტიკანტების მიერ წარმოებული პრაქტიკის გავლის დღიურები და მათი საქმიანობა.

თავი VI

პრაქტიკანტის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 12

1. პრაქტიკანტს უფლება აქვს:

ა) კოორდინატორისაგან მიიღოს აუცილებელი კონსულტაციები მუშაობის ორგანიზების შესახებ;

ბ) ჰქონდეს სათანადო პირობები მისზე დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად;

გ) ადგილზე ისარგებლოს უმაღლესი საბჭოს აპარატში არსებული მასალებით (წიგნები, სახელმძღვანელოები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა), ინფორმაციის მოძიების მიზნით გამოიყენოს ელექტრონული საშუალებები;

დ) კოორდინატორის მითითებით ან მასთან ერთად, პრაქტიკით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან გამომდინარე, გადაადგილდეს უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში.

2. პრაქტიკანტი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და დაიცვას ამ წესისა და უმაღლესი საბჭოს აპარატის შინაგანაწესის მოთხოვნები;

ბ) პრაქტიკის მიმდინარეობისას შეადგინოს სამუშაო გეგმა და აწარმოოს პრაქტიკის გავლის დღიური, გააკეთოს მასში სათანადო ჩანაწერები და შენიშვნები;

გ) შეასრულოს პრაქტიკის კოორდინატორის დავალებები;

დ) დროულად გამოცხადდეს პრაქტიკის გავლის ადგილას, არასაპატიო მიზეზით არ გააცდინოს პრაქტიკის დღე, ხოლო საპატიო მიზეზის არსებობისას ამის შესახებ დროულად აცნობოს კოორდინატორს.

თავი VII

პრაქტიკის შეწყვეტის საფუძვლები

მუხლი 13

1. პრაქტიკის ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) უმაღლესი საბჭოს აპარატის შინაგანაწესითა და წინამდებარე წესით გათვალისწინებული მოთხოვნების უხეში დარღვევა;

ბ) პრაქტიკანტის მიერ სხვა დაწესებულებაში პრაქტიკის გავლის ფაქტის გამოვლენა;

გ) კოორდინატორის დავალებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

დ) დღიურის მოუწესრიგებლობა;

ე) ზედიზედ პრაქტიკის 5 (ხუთი) დღის არასაპატიო მიზეზით გაცდენა (პრაქტიკის ერთ დღედ მიიჩნევა უმაღლესი საბჭოს ერთი სამუშაო დღე);

ვ) პრაქტიკანტის პირადი ინიციატივა (განცხადება).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, ,,დ“ და ,,ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში პრაქტიკანტისათვის პრაქტიკის ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი პრაქტიკის კოორდინატორის წარდგინების საფუძველზე, ხოლო იმავე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - პრაქტიკანტის პირადი განცხადების საფუძველზე. პრაქტიკანტისათვის პრაქტიკის ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

3. პრაქტიკის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე პრაქტიკის ვადის გასვლა.

4. პრაქტიკანტებს, პრაქტიკის ვადის გასვლის შემდეგ კოორდინატორის წარდგინების საფუძველზე, ეძლევათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი ცნობა, რომელსაც ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

თავი VIII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 14

1. პრაქტიკის გავლის წესს ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

2. პრაქტიკის გავლის წესში ცვლილების შეტანა ხდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.